პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 19 აპრილი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 86 (784)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## პირველი მაისი—წითელი ფიცის დღეა.

ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის და ძმობის დღესასწაული—პირველი მაისი. მუშებთან და გლეხებთან ერთად ეს დღე ზეიმით უნდა აღნიშნოს აგრეთვე წითელ ჯარმაც.

პირველ მაისს ყველა ქვეყნის მუშები და დაჩაგრულნი დაათვალიერებენ თავის მილიონიან რიგებს და კიდევ ერთხელ შეფიცებენ ერთმანეთს ძმობას და ერთობას კაპიტალიზმის დამხობის და სოციალიზმის დამყარების საქმეში. ჩვენი წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლნი პირველ მაისს მიიღებენ წითელ ფიცს.

ამ რიგად ამ დიდ დღესასწაულს წითელი—ჯარისათვის ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთი ის, რომ პირველი მაისი მშრომელთა დღესასწაულია და მეორე—ის წითელი ფიცის მიღების დღეა.

ის ახალგაზრდა წითელ არმიელები, რომლებიც უკანასკნელი გაწვევით მოევლინენ ჩვენ ჯარის რიგებს პირველ მაისს დასდებენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხალხის წინაშე ფიცს, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და მუდამ შეუდრეკელი მებრძოლები იქნებიან პროლეტარული რევოლიუციის.

წინად ჯარის კაცი ერთგულების ფიცს აძლევდა მეფეს და მის დამქაშეებს, ვინაიდან ის სარწმუნოებით გონება დაჩლუნგული, უვიცი, მათრახის შიშის ქვეშ მყოფი, ანგარიშს ვერ უწევდა თავს თუ ვის აძლევდა ფიცს.

მაგრამ რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციამ მოსპო მყვლეფელთა და მჩაგვრელთა ბატონობა. დღეს წითელი მებრძოლი მტკიცე ფიცს სდებს მთელი მშრომელი ხალხის წინაშე მასში, რომ ის მუდამ ფხიზელი დარაჯი იქნება ოქტომბრის მონაპოვარის, რომ არას დროს არ უღალატებს მშრომელთა გამარჯვების და კეთილდღეობის საქმეს.

და ამ ფიცს წითელი არმია სდებს მშრომელთა უდიდესი დღესასწაულის დღეს—პირველ მაისს.

ჩვენი წითელ-არმიელები აქედანვე უნდა შეუდგენ ამ დღისათვის მზადებას. მათ კარგად უნდა გაერკვიონ წითელი ფიცის შინაარსში და მნიშვნელობაში.

წითელი ფიცის მიღება—ეს უდიდესი მოვალეობის თავის თავზე აღებას ნიშნავს. ყოველი წითელი არმიელი, რომელიც ფიცს იღებს, მოვალეა მტკიცედ და შეურყევლად გაატაროს ის ცხოვრებაში. წითელი ფიცის გამტეხი მუშების და გლეხების საზიზღარი მოღალატე და მტერია. ეს კარგად უნდა იცოდენ ჩვენი წითელ მებრძოლებმა.

ამიტომაც უნდა მოემზადონ ისე, რომ მართლადაც ღირსი იყონ დიდი რევოლიუციონური წითელი ფიცის მიღებისა.

ემზადეთ პირველ მაისისათვის.

# ახალი რადიო-ამბები

## სოფიის ტაძარის აფეთქება.

ოთხშაბათს, სოფიის (ბულგარეთის დედა ქალაქი ტაძარში, მოკლულ ფაშისტ დეპუტატის გეორგიევის პანაშვიდზე აფეთქებულ იქნა ჯოჯოხეთის მანქანა, რომელიც მოწყობილი იყო საათის მექანიზმით. ჩამოინგრა ტაძრის ჭერი და ერთი კოშკი. სასწრაფოდ გამოწვეულმა ცეცხლის მქრობ რაზმმა გამოიყვანა ნანგრევიდან მრავალი დაჭრილი და მოკლული.

ოფიციალური ცნობის მიხედვით მოკლულთა რიცხვი აღემატება 150 კაცს. დაჭრილია რამოდენიმე ასეული კაცი.

მეფე პანაშვიდს არ დასწრებია.

მინისტრებიდან მსუბუქად დაჭრილია პრემიერი ცანკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი სუსსევი, საგარეო საქმეთა მინისტრი კალფოვი და სამხედრო მინისტრი ფოლკოვი.

მოკლული არიან: პოლიციის პრეფექტი— გენერალი კისსოვი, ქალაქის თავი მასკალევი, ყოფილი სამხედრო მინისტრი მეიდენოვი და ცანკოვის მდივანი ილიევი.

მძიმედ დაჭრილია 7 კაცი.

დაჭრილია აგრეთვე მთავრობის პარტიის ორი დეპუტატი—გეორგიევი და დანევი.

მთელ ბულგარეთში გამოცხადებულია საალყო წესები. სოფიაში მიღებულია სასტიკი ზომები. ქუჩები დადუმებულია აკრძალულია ყოველგვარი მიმოსვლა. მხოლოდ ჯარისკაცებით დატვირთული ავტომობილები დადიან ქალაქში. გამოწვეულია ცანკოვის სახალხო მილიცია.

ქალაქებში სწარმოებს მასიური დაპატიმრება.

პოლიციის ცნობით, ვითომც ვარნაში აღმოჩენილია ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაციები.

## პენლევე.

ეხლანდელი საფრანგეთის პრემიერი პენლევე, რომელმაც ერიო შესცვალა ეკუთვნის მემარცხენე ბლოკს. მას დიდი პოლიტიკური სტაჟი აქვს. ის ომამდე ცნობილი პაციფისტი იყო. მაგრამ ომმა მასში, როგორც სხვებში, დიდი ცვლილება მოახდინა და ის შეიქმნა ომის ერთი გამოჩენილ მებაირაღტრედ. ის ხშირად წინანდელ მთავრობებში მინისტრად და მათ საბჭოს თავმჯდომარეთ იყო. პრემიერობამდე კი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ.



პენლევე

## ჟ. კაიო

საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობის ფინანსთა მინისტრი ჟოზეფ კაიო საფრანგეთის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ფინანსისტი და ეკონომისტი. ის ცენტრალური ფიგურაა ეხლანდელი მთავრობის, თითქმის მისგანაა დამოკიდებული მთავრობის ბედი, რადგან წინანდელი მთავრობის ჩამოგდების მიზეზი იყო მოუწესრიგებელი ფინანსები, რომელიც უნდა მოაგვაროს კაიომ.



ჟ კაიო.

## პარტიზანული გამოსვლები ბულგარეთში.

ამ ბოლო ხანებში ბულგარეთში გახშირდა პარტიზანული გამოსვლები. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით. აღმოსავლეთ ბულგარეთში მოხდა შეტაკებები მთავრობის ჯარებს და პარტიზანებს შორის. ჯარებმა არტილერია აამუშავა.

უფრო სასტიკი ბრძოლები მოხდა აიტოსში (შავი ზღვის სანაპიროსთან), სადაც აჯანყებულებს დიდი ძალები ჰყავდათ.

## უთანხმოება გომინდანის პარტიაში.

გომინდანის პარტიაში იზრდება უთანხმოება იმ საკითხში, თუ სად მოიწვიონ პარტიის მომავალი კონფერენცია. ხმის უმეტესობით გადასწყდა ყრილობის მოწვევა პეკინში.

მემარჯვენეები მოითხოვდენ აგრეთვე კომუნისტების გამორიცხვას, მაგრამ ეს მოთხოვნილება უარყოფილ იქნა კრების მიერ. ბევრი წევრი უკანონოდ სთვლის ყრილობის მოწვევას პეკინში. თუ მათ მომხრეები მიემატათ, შესაძლებელია ერთ და იმავე დროს გაიხსნას ორი ყრილობა—ერთი პეკინ-

## არც პენლევეს მთავრობას ექნება დიდი დღე.

როგორც იქმნა დიდი ძიებისა და მოლაპარაკების შემდეგ შესდგა საფრანგეთის ახალი მთავრობა პენლევეს მეთაურობით. მთავრობაში შედიან ოთხი რესპუბლიკანელი—სოციალისტი, ერთი დამოუკიდებელი სოციალისტი, თორმეტი რადიკალი-სოციალისტი და ცნობილ კაპიტალისტის ლუშერის ჯგუფის ორი წევრი. ამრიგად ერთის შეხედვით პარტიულობის მიხედვით ახალი მთავრობა იმავე მემარცხენე ბლოკის მთავრობას წარმოადგენს, მაგრამ თუ უფრო კარგად ჩაუკვირდებით ნათლად დავინახავთ, რომ თუმცა ის მემარცხენე ბლოკის მთავრობაა, მაგრამ მისი მეძარჯვენე ნაწილისა. თუ რამდენათ წელმაგარი და ხანგრძლივი იქნება ეს მთავრობა, დამოკიდებულია იმისგან გადალახავს თუ არა ის ფინანსიურ კრიზისს?

შესძლებს იმის გაკეთებას, რაც ერიომ ვერ გააკეთა?

დიდად საეჭვოა.

საფრანგეთის ახალი მთავრობა რომ ამ თავითვე მეტათ რთულ და ძნელი ამოცანის წინაშე სდგას, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი.

თუმცა მთავრობაში შედის ასეთი გამოჩენილი ფინანსისტი, როგორც კაიოა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ფინანსიური სენის განკურნება. კაიო წინად მომხრე იყო მსხვილი კაპიტალის დაბეგვრისა. ის ერთ ერთი სასტიკი მოწინააღმდეგეთაგანი იყო აგრეთვე იმპერიალისტური ომის. ამისათვის მან დიდი გულისწყრომა და სიძულვილი დაიმსახურა მსხვილი ბურჟუაზიის, რომელიც შეუბრალებლად სდევნიდა მას ერიოს სათავეში ჩადგომამდე.

ეხლა კი რადიო გადმოგვცემს, რომ ფინანსიური წრეები თანახმა არიან კაიოს ფინანსთა მინისტრად დანიშვნისა, ვინაიდან ის წინააღმდეგია მსხვილ კაპიტალზე გადასახადების დადების.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია კაიოს მიერ ფინანსიური პოლიტიკის წინანდელი ხაზის შეცვლა. შეიძლება ამას ის ტაქტიკური მოსაზრებით სჩადის, შეიძლება, მართლადაც იცვალა ხაზი. მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ დღეს მსხვილი კაპიტალის გავლენა იმდენათ ძლიერია, რომ მის დაბეგვრას პენლევეს მთავრობა ვერ გაბედავს, მით უმეტეს, როდესაც მის კაბინეტში თვით მსხვილი კაპიტალისტის ლუშერის ორი წარმომადგენელია.

ამბობენ რომ კაიოს ახალი საგარეო სესხის გეგმა აქვს შემუშავებულიო. მაგრამ საეჭვოა რომ ამას მან მიაღწიოს, ვინაიდან მას იცნობენ როგორც ამერიკისა და ინგლისის ვალების გადახდის სასტიკ მოწინააღმდეგეს. რჩება მესამე გზა გადასახადების გადიდება სახელმწიფოს შიგნით, რომელიც უმთავრესად წვრილ ბურჟუაზიას და მშრომელთა მასებს დააწვება კისერზე. მაგრამ ამ უკანასკნელთა მოთმინებასაც ბოლო ელება, ვინაიდან ფინანსიურ კრიზისმა საშინლად დასცა მისი ეკონომიური მდგომარეობა.

ასეთია იმ კრიზისის პირობები, რომელიც უნდა გადასჭრას პენლევეს მთავრობამ. ზევით ჩვენ დავინახეთ რომ დიდათ საეჭვოა, რომ ამას მან მიაღწიოს.

უფრო სწორად რომ ვსთქვათ შეიძლება მან შეაჩეროს კრიზისი, მაგრამ კრიზისის შეჩერება ნიშნავს მისი უფრო მძლავრად განმეორებას ახლო მომავალში. ასე რომ პენლევეს მთავრობას დიდი ხანი არ აქვს. გამყიდველი სოციალისტური პარტია მას მხარს უჭერს და დიდ იმედშია, რომ პენლევეს მთავრობა გამოიყვანს სახელმწიფოს კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობიდან.

ერიოს გაკვეთილიდან მათ ვერაფერი ვერ შეიძინეს.

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიამ მათ მოუწოდა ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლისაკენ, ბანკების ნაციონალიზაციისაკენ, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო საფრანგეთის სოციალისტ-მოღალატეებმა პენლევეს მთავრობის ერთგულება არჩიეს. მით უარესი მათთვის. ვერც პენლევე და ვერც სხვა ვინმე მსგავსი ვერ იხსნის საფრანგეთის მშრომელთა მასებს იმ საშინელ უმწეო მდგომარეობიდან, რომელშიდაც ის ჩააგდო ბურჟუაზიის და გამყიდველების იმპერიალისტურ პოლიტიკამ, გარდა პროლეტარული რევოლიუციისა. საფრანგეთის კომუნისტური პარტია—აი ის ბელადი, რომელიც უჩვენებს სწორ გზას საფრანგეთის მშრომელთა მასებს თავიდააზწიონ არსებულ მდგომარეობას და საერთოდ კაპიტალისტურ მონობას.

—ე.

ში, მეორე—კანტონში, რაიც განხეთქილების მომასწავებელი იქნება პარტიაში.

გომინდანის პარტიის კრებამ დაადგინა, გამორიცხულ იქნას მემარჯვენე წარმომადგენლების მთელი რიგი, მათ რიცხვში გამოჩენილი მემარჯვენე ლიდერები მა—სუ და ფენ გ—ში-იუ.

## პარტიზანულ მოძრაობის გარშემო პოლონეთში.

ნოვოგრუდის „ვოევოდა“, გენერალი იანუშაიტისი ჩავიდა ვარშავაში, სადაც მან ანგარიში უნდა წარუდგინოს მთავრობას პარტიზანულ მოძრაობის ლიკვიდაციის შესახებ განაპირა ადგილებში. ჩხრეკისა და დაპატიმრების დროს ვითომც გამოირკვა სეიმის ბელორუსიის დეპუტატების მონაწილეობა პარტიზანულ მოძრაობაში.

გამოძიების დამთავრების შემდეგ სასამართლო ძალები მოითხოვენ სეიმისაგან ამ დეპუტატების პასუხისგებაში მიცემას.

## ამერიკის ფლოტის მანევრები.

ამერიკის ფლოტის მომავალი მანევრები წყნარ ოკეანეზე ერთი უდიდესია იმ მანევრებისგან, რომლებიც კი არსებობდა შეერთებულ შტატებში.

მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ 127 საბრძოლო ერთეული, მათ შორის 10 დრედნოუტი, 58 განმანადგურებელი, 18 წყალქვეშა ნავი და სხვა გემები.

მთელი ეკიპაჟი შესდგება 40.000 მეზღვაურისა (მატროსები) და ოფიცრებისაგან.

## რუსეთის ხე--ტყე ავიწროებს ამერიკის ხე--ტყეს.

იაპონიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სუზუკის საკციონერო და შორეულ აღმოსავლეთის სატყეო საზოგადოებათა შორის დადებულ ხელშეკრულებას. ზოგიერთი გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ ახლო მომავალში რუსეთის ტყე სრულიად გაზდევნის ამერიკის ხეტყეს იაპონიის ბაზრიდანო.

## გლეხთა საერთაშორისო საბჭოს დახურვა.

17 აპრილს საღამოს დაიხურა გლეხთა საერთაშორისო საბჭოს მეორე პლენუმი. საბოლოო სხდომაზე წაკითხულ იქნა რეზოლიუციები ცალკე ქვეყნების კომისიების საერთო პოლიტიკურ მუშაობის შესახებ, გლეხთა შორის მუშაობის შესახებ, კოოპერაციის შესახებ და სხვა.

წაკითხულ იქნა აგრეთვე მანიფესტი ყველა ქვეყნების გლეხთა მიმართ, შეერთდენ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

### საბანაკო ცხოვრების საერთო წესრიგი.

საბანაკო ცხოვრება დიდათ განსხვავდება ყაზარმული ცხოვრებისაგან.

ზაფხულის სიცხეში საბანაკო სწავლების დროს ჯარები მთელ თავის მუშაობას უფარდებენ ამ პირობებს. ბანაკობის დროს წითელ არმიელები დილით ადრე დგებიან, რათა სიცხის დაწყებამდე დაასრულონ დილის მეცადინეობა.

სადილის შემდეგ მეცადინეობა იწყება უფრო მოგვიანებით, როცა სიცხე შენელდება. წითელ არმიელთა ადგომა, დილის და საღამოს გასინჯვა სწარმოებს საერთო „სიგნალით“ და აუცილებლად დანიშნულ ადგილზე (წინა და გვერდის ხაზებზე) ერთ ბანაკში მოთავსებულ ნაწილებისთვის. მორიგეები და დღიურები თავისით, გამოუძახებლად გამოდიან ხაზზე და დგებიან: გუნდის მორიგე (მცირე გუნდის, ესკადრონის, ასეულის, ბატარეის და სხვა) ერთი ნაბიჯით თავის გუნდის წინ მარჯვენა ფრთაზე, დღიურები—მორიგეს უკან ხაზზე, პირით უკანასკნელისაკენ. ცუდ ამინდში ბანაკის მორიგეს განკარგულებით გასინჯვა სწარმოებს კარვებში.

უფროსი მეთაურის მოსვლისთანავე, დაწყებული თავის ნაწილის უფროსიდან, დღიურები—„მორიგე ხაზზე“-ს ძახილით გამოიწვევს მორიგეს, რომელიც შეხვდება ნაწილის უფროსს პატაკით. თუ ბანაკში მოვა ბანაკის ყველა ნაწილების უფროსი, ამ შემთხვევაში გამოუძახებენ ყველა ნაწილების მორიგეებსა და დღიურებს, რისთვისაც დღიური დაიძახებს „მორიგეები ხაზზე“.

საჭიროა დაიხსოვნოს ყოველმა მეომარმა, რომ ბანაკში კარგ ამინდში, წვიმის შემდეგ და თბილ ღამეებში კარვის კალთები აიკეცებიან, რომ დახშული ჰაერი არ იყოს კარვებში.

ბანაკის ხაზები და გზები ყოველთვის კარგად დაგვილი და სილა მოყრილი უნდა იყოს.

ნაგავი და ყოველგვარი სიბინძურე გადატანილ უნდა იქნას ფეხისადგილის ხაზზე, რომელიც ჩვეულებრივად ეწყობა ბანაკის უკან და დროგამოშვებით მათ თხრილებს მიწით ჰფარავენ (ავსებენ).

უნდა გვახსოვდეს, რომ ზაფხულობით ადვილად ვრცელდება ყოველგვარი ავადმყოფობა ბუზების საშუალებით და ამიტომ პროდუქტები და პური კარგად უნდა იქნან დაფარული, ხოლო სტოლები, თეფშები, თუნუქის სასმისები, ქვაბები და სხვა მეტად სუფთად უნდა იქნან შენახული.

თეთრეულის გაფენა, შეშის პობა და მათი დაწყობა—ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს განსაკუთრებულ დანიშნულ ადგილზე. ტახტი ან ნარები, ქვეშაგები და განსაკუთრებით იარაღი შენახულ უნდა იქნან სუფთად და რიგზე. სხვაფერ მთელი ბანაკი გადაიქცევა მოხ[...]ტიალეთა ბანაკად.

ყველაფერი ეს კარგად უ[...] და ახსოვდეს მეომარს და ა[...] უნდა დაუშვას ისეთი რამ, რა[...] ეწინააღმდეგება სამსახურის მო[...]თხოვნილებას ბანაკში.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

### როგორ უნდა იხმარო ნიღაბი და შეინახო ის გაფუჭებ[...]საგან.

ნიღაბის დიდი მნიშვნელობა და მისი სისათუთე მოითხოვს მეტად მოფრთხილებულ მოპყრობას.

ყოველი კეთილ სინდისიერი მეომარი უნდა იყოს ამ მხრივ წესიერი. მეცადინეობის შემდეგ მეომარმა დიდის სიფრთხილით უნდა დაკეცოს ნიღაბი ინსტრუქტორის დარიგების მიხედვით.

ცუდად და უწესოდ დაკეცილი ნიღაბი, თუ ის ამ მდგომარეობაში დიდხანს იქნა შენახული ფუჭდება, იბზარება. ამას გარდა თავზე ჩამოცმის დროს გაუფრთხილებლობის გამო ადვილად შეიძლება გაიხეს ნიღაბი განსაკუთრებით ნაკერავში და კოლოფთან შეერთების ადგილთან. ნიღაბის ჩქარა, მაგრამ მოფრთხილებულად თავზე ჩამოცმა ინსტრუქტორის დარიგების მიხედვით უზრუნველყოფს ნიღაბის სიმრთელეს. ნიღაბის ჩამოცმის დროს სასწრაფოდ უნდა გასწმინდო დაოფლიანებული სათვალეები ნიღაბზე მყოფ განსაკუთრებული რეზინის საწმენდისაგან და ყურადღება უნდა მიაქციო იმას რომ, ეს საწმენდი თუ შეგრეხილია, უნდა გამართო, ვინაიდან ის ადვილად შეიძლება გაიხეს თითის ფრჩხილით.

ასეთი სიფრთხილით უნდა მოექცე სათვალეებსაც. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შეიძლება მისი გა[...]ტეხა, ან მის შემმაგრებულ[...] ნაწიბურების გარღვევა.

ნიღაბის ჩამოცმის დრო[...] ყურადღება უნდა მიაქციო, რომ ის სწორად იყოს თავზე გაკეთებული, რომ სათვალეებ[...] თავის ადგილზე იყოს და შემ[...]დეგ, რაც მთავარია, ნიღაბი[...] კიდეები მჭიდროდ იყოს მორ[...]გებული თავზე, ყბებზე, ნი[...]კაპზე, მაგრამ იმავე დროს ა[...] უნდა ვიჭერდეს რომელ იმ[...] ადგილზე.

ამას უნდა მიექცეს განსა[...]კუთრებული ყურადღება იმი[...]ტომ, რომ მოჭერის გამო ტკ[...]ვილი თანდათან გაიზრდება დ[...] მეომარი იძულებული იქნებ[...] მოიხადოს ნიღაბი.

ნიღაბის ცუდად ჩამოცმ[...] ხელს უშლის სისხლის ნორ[...]მალურ ტრიალს და დ[...]გროვდება სისხლი თავში.

ამას გარდა ნიღაბის ჩამო[...]ცმის დროს უნდა მიაქციო ყურადღება, რათა ის იყო[...] სუფთა და საერთოდ სუფ[...]თად უნდა გეჭიროს ის, ვი[...]ნაიდან თუ ნიღაბში ჭუჭყ[...] და მტვერია, თავზე ჩამოც[...]მის შემდეგ ის იწვევს ცხვი[...]რის ცემინებას (ცხიკვებას) დ[...] ხველას.

ხოლო ეს კვლავ აიძულებ[...] მეომარს ჩქარა მოიშოროს ნი[...]ღაბი.

**ლ. ვორონოვი.**

# ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲜᲣ ᲞᲐᲡᲔᲥᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

აღდგომას ქრისტიანები უდიდეს დღესასწაულად სთვლიან, მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს რელიგიის ისტორიას, ჩვენ დავინახავთ, რომ როგორც ყოველი მორწმუნეთა დღესასწაული,—გარდა იმისა, რომ ის უშინაარსია,—აღდგომაც წარმოსდგება წარმართული სარწმუნოებისაგან.

წარმართულ პერიოდში და კიდევ უფრო ადრე, ადამიანებს სწამდათ, რომ კაცი რომ გარდაიცვლება, ის, ადრე იქნება თუ გვიან, გაცოცხლდება და თითონ ის თუ არა, მისი სული მაინც განაგრძობს ცხოვრებას ამ ქვეყნად, თავის ნათესავებისა და ნაცნობების გარშემო. ასეთ რწმენას ადამიანში უფრო აძლიერებდა გონებრივი განუვითარებლობა და სიბნელე.

გულწასული ავადმყოფი რომ მობრუნდებოდა, მათ სჯეროდათ, რომ ადამიანი გაცოცხლდა, ე. ი. აღსდგა სიკვდილის შემდეგო.

ადამიანს არ ესმოდა სიკვდილ-სიცოცხლის რაობა. სიკვდილის შინაარსი მისთვის გაუგებარი იყო.

გაცოცხლების, ანუ აღდგომის რწმენას კიდევ უფრო აძლიერებდა სიზმარი. ადამიანი ვერ არჩევდა სიზმარს სინამდვილისაგან.

სიზმარში ის ხედავდა გარდაცვლილ ნათესავებს ისე, როგორც ცოცხალ ადამიანებს. მასში აირია სიზმარი და ცხადი.

რელიგიის ისტორიიდან ჩვენ ვიციო, რომ წარმართებს მრავალი ღმერთები ჰყავდათ: ცეცხლის, წვიმის, ქარის, ქუხილის, მზის, ზღვის და სხვა და სხვა, ე. ი. იმდენი, რამდენი მოვლენაც არსებობდა ბუნებაში და სწამდათ იმდენად, რამდენათაც ეს მოვლენა მათთვის საიდუმლო და გაუგებარი იყო. ეს ღმერთები ადამიანს თანდათან დაავიწყდა, რამდენათაც ის განვითარდა. ადამიანი მრავალ ღმერთიანობიდან გადმოვიდა ერთი ღმერთის რწმენაზე.

ქრისტიან მორწმუნეს აღარ სწამს ძველი ღმერთები, მაგრამ მასში დაცულია ძველი რწმენის ნაშთები სხვა და სხვა დღესასწაულების სახით, რომლის ერთ სახეს აღდგომაც წარმოადგენს.

ქრისტიანს სწამს, რომ არსებობს ერთი ღმერთი, მაგრამ სამ-პიროვანი: მამა, ძე და სულიწმინდა. ძე—ღმერთად მას მიჩნეული ჰყავს იესო ქრისტე. მაგრამ ერთი თათარსაც ჰკითხე, თუ მან ძე ღმერთად მაჰმადი არ დაგისახელოს.

მთელ ქვეყანაზე არსებობს მრავალი სხვა და სხვა სარწმუნოება, რომელსაც სხვა და სხვანაირად სწამს ღმერთი, მისი ძეცა და სულიწმინდაც. და ყოველ სხვა და სხვა მორწმუნეს თავისი სარწმუნოება ჰგონია მართალი და სხვისი კი შემცდარი.

წარმართმა, გაუნათლებელმა ადამიანმა, ადამიანის სიკვდილისა და შემდეგ გაცოცხლების, ანუ მკვდრეთით აღდგომის რწმენა გადაიტანა ღმერთებზე.

მას სწამდა, რომ ღმერთებიც კვდებიან, მაგრამ შემდეგ კვლავ აღსდგებიანო. მაგრამ მეცნიერებას, რომელმაც გააშუქა მრავალი საიდუმლოება და მოჰკლა ბუნების მოვლენებში „თავშეფარებული“ ღმერთები, აღარ სწამს არცერთი ღმერთის გაცოცხლება.

აღდგომის დღესასწაული, როგორც ზევით აღვნიშნეთ, წარმართულ ცრუმორწმუნოების ნაშთია. აღდგომას დღესაც დღესასწაულობენ სხვა და სხვა სარწმუნოების ერები, მაგრამ არა ერთ და იმავე დროს:

პირველად ქრისტიანები აღდგომას დღესასწაულობდენ ებრაელების აღდგომის დღეს, ე. ი. მარტის ბოლო რიცხვში. ეს აიხსნება იმით, რომ როცა წარმართები მასიურად ღებულობდენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მათ თან გადმოიტანეს თავიანთი ჩვეულება, ადათი და სარწმუნოების მრავალგვარი სახე ქრისტიანულ სარწმუნოებაში. მაგრამ როცა ქრისტიანული სარწმუნოება გაძლიერდა, უფრო გაიზარდა მათ შორის სიძულვილი წარმართულ სარწმუნოების წინააღმდეგ და ეს ზიარი დღესასწაულიც გადაიტანეს ცალკე რიცხვში.

აღდგომის დღესასწაული სწამთ ებრაელებს აც და დღეს ისინი დღესასწაულობენ მას ქრისტიანების აღდგომაზე უფრო ადრე. მაგრამ ებრაელები დღესასწაულობენ აღდგომას ეგვიპტის ტყვეობიდან განთავისუფლების მოსაგონარად.

ამ რიგად თანდათან აერიათ სხვადა სხვა სარწმუნოების ხალხს წარმართული დღესასწაული და ყოველ სხვა და სხვა მორწმუნეებს სწამდათ ის თავიანთი ღმერთების აღდგომად.

სპარსელებს ჰყავდათ ღმერთი მიტრა, ეგვიპტელებს—ოზირისი, სირიელებს—ადოისი და სხვა და სხვა. ყველა ეს ღმერთები წარმართების რწმენით მომკვდარან და შემდეგ ისევე გაცოცხლებულან, ანუ აღმდგარან („აღდგომა“). ასე რომ ქრისტიანების აღდგომა წარმოიშვა იმ სარწმუნოებისაგან რომელიც ქრისტიანებს წინადაც არ მოსწონდათ და დღესაც სიძულვილით ექცევიან. მაგრამ ეს დღესასწაულები ქრისტიანობამ ხომ რამოდენიმე საუკუნის წინ გადმოიღო? რატომაა, რომ ის დღემდისაც არ სტოვებს ამ დღესასწაულს და დიდის მოწიწებით ეგებება მას?

ეს იმიტომ, რომ ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც ყოველგვარი რელიგია, ერთი კლასისმიერ მეორე კლასის დამონავების იარაღია. ქრისტიანული სარწმუნოების სახით ქადაგებ[...] გაბატონებული კლასი: მოით[...]მინე ყოველგვარი გაჭირვებ[...] დამცირება, თავში ჩარტყმ[...] შიმშილი, სიცივე და... სამაგ[...]იეროდ შენი იქნება სასუფევ[...]ლიო, ე. ი. ნამდვილი მნიშ[...]ნელობით რომ ვსთქვათ: ტყავ[...] გაგაძრობ, გაწამებ, გამუშავებ[...] ჩემი გულისთვის, ხოლო სამა[...]გიეროდ კი არაფერსაც არ მო[...]გცემო. „ღვთის მოსამსახურე[...] პირები—სამღვდელოება კი დი[...] დახმარებას უწევდა გაბატონე[...]ბულ კლასს და თავისი ბოხ[...] „ციური“ ხმებით და საცეკ[...]ხლურის ქნევით ისეთ ბურუს[...] უკმევდა საწყალ, დაბეჩავებულ[...] ხალხს, რომელსაც ამ ბურუს[...]ში, ვერ დაენახა მზის სხივ[...] სინათლე, ჭეშმარიტება და სა[...]მართლიანობა.

მაგრამ ეს ბურუსიც თანდა[...]თან იფანტება. და თუ დღ[...] ჩაგრული კლასის ერთმა ნაწ[...]ილმა დააღწია თავი ამ ბურუს[...], ხვალ მთელი ხალხი განთავ[...]ისუფლდება მისგან და მონობ[...]ისა და ჩაგვრის „აღდგომის“ მაგივრად ის იდღესასწაულებ[...] მონის, ჩაგრულის, ადამიან[...] ღირსების, გონების და თავ[...]ისუფლების აღდგომას.

X.

# პარტიული ცხოვრება.

## ზოგიერთ პოლიტ. მომუშავის დაუშვებელ საქციელის გამო.

ამ წერილში საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ჩვენი პოლიტშემადგენლობის ზოგიერთ წევრის ყოფა ქცევა, რომლებიც თავიანთი უმგვანო საქციელით აჭარბებენ უზნეობის ყოველ გვარ საზღვარს და სახელს უტეხენ ჯერ პარტიას და შემდეგ იმ ორგანიზაციას, სადაც თვით მსახურებენ.

ასეთ პირებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მათი მოქმედებით გარეშე საზოგადოება ღებულობს შეხედულებას ყველა პარტიის წევრზე და რომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს თავის ყოფა ქცევას იმ ზომად, რასაც მას აკისრებს, მისი კომუნისტური მრწამსი.

პარტიის წევრი, თუ მართლა ნამდვილი კომუნისტია და მხოლოდ სახეზე არ აქვს აფარებული კომუნისტის ნიღაბი ის ყოველ დღიურ პრაქტიკულ მუშაობაში უნდა ამტკიცებდეს თავის კომუნისტობას. ჩვენი მოქმედებით ჩვენ უნდა დავანახოთ უპარტიო მასას, რომ ჩვენ ყოველთვის ვანხორციელებთ იმ დიად იდეებს, რომლის მიზანია გაანთავისუფლოს მუშები გლეხები და ყველა მშრომელები კაპიტალის ბატონობისაგან. თუ კომუნისტის მოქმედება სავსებით შეეფერება ამ დიად მიზანს მასზე უპარტიო მასას, რასაკვირველია, ყოველთვის კარგი შეხედულება ექნება და მის ნაჩვენებ გზას მუდამ გაყვებიან მუშები და გლეხები.

მაგრამ, საუბედუროთ პარტიაში კიდევ გვყოლია ისეთი წევრები, რომლებიც სრულებით ჩამოშორებულან და დავიწყებიათ პარტია და მისი ეთიკა. ისინი თავიანთი არა კომუნისტური მოქმედებით ჩირქს სცხებენ პარტიას. აქ მე მოკლეთ აღვნიშნავ იმ დაუშვებელ საქციელს, რომელიც ჩაიდინა ერთ ერთ პარტიის წევრმა.

ერთ-ერთი ნაწილის პოლიტმომუშავე მიდის რესტორანში სხვა ძმა ბიჭებთან ერთად და როდესაც კარგათ გაილეშენ ღვინით ფული შემოაკლდათ, მაშინ მედუქნეს გირაოთ პარტიულ წიგნაკს აძლევს,

მეორე შემთხვევა: პარტიული ამხანაგი სამიკიტნოში თამადობას ეწევა (სისტემატიურათ), მას ბაძავენ უპარტიო მეთაურები რაც იწვევს უპარტიო მასის უკმაყოფილებას.

მესამე: ცოლის გაშვების თუ სხვა ნიადაგზედ ითვრება პარტიული და რევოლვერს იცემს გულში. ყველა პარტიის ორგანოებმა ამ შემთხვევებში უნდა სასწრაფოდ გამოარკვიონ მერყევი პირები რომლებიც კიდევ დარჩენილა პარტიაში. ამავე დროს პარტიაში მიღების დროსაც საჭირო იქნება, რათა კარგათ იქნეს შესწავლილი შემომსვლელნი პარტიაში.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნული პარტიის წევრების მიერ დანაშაულის ჩადენას მას პარტკომისია გაარჩევს და სათანადო მსჯავრსაც დასდებს.

ს. ლომიძე.

## ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-2 უჯრედის საქმიანობა.

ა. წ. 16 აპრილს შესდგა კომ-უჯრედის მორიგი გაერთიანებული ღია კრება. კრებას დაესწრო პარტიულებთან ერთად კომ-კავშირელები და უპარტიო წითელ არმიელები.

დღის წესრიგში იყო: 1. ცირკულიარის გაცნობა, 2. განცხადებების გარჩევა და 3. რემედასის, საჰაერო ფლოტის და ლენინის კუთხის ახალი გამგეობის არჩევა ასეულებში.

ამ საკითხების გარჩევის შემდეგ პ. მგ. მდივანმა მოკლედ გააცნო კრებას უჯრედის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მას ჰყავს მიმაგრებული სხვა და სხვა ორგანიზაციებთან სამუშაოდ სათანადოთ მომზადებული პარტ-ამხანაგები. მან დაახასიათა აგრეთვე სურამში მყოფ უჯრედის მუშაობა შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში, სადაც ხშირად იგზავნებიან ამხანაგები მოხსენებების გასაკეთებლად. უჯრედი აწვდის გლეხობას წიგნებს, ბროშურებს და სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს. ამას გარდა მას მოწყობილი აქვს სოფელში წ. კუთხე.

პრეზიდიუმის მუშაობა მეტად დამაკმაყოფილებელია, რაიც უნდა მიეწეროს მასში მომუშავე ამხანაგების მომზადებასა და მუყაითობას.

პარტკორი მ. კერესელიძე.

## ჩვენი უჯრედის საქმიანობა ახკომ კავშირელთა შორის.

მეოთხე ლეგიონში არსებობს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ორგანიზაცია. კრებები იმართება კვირაში ერთხელ პარტიულ უჯრედებთან ერთად. ამხანაგები სისტემატიურად ესწრებიან კრებებს და ყველანი სცდილობენ რაც შეიძლება მეტი ინიციატივა გამოიჩინონ კავშირის მუშაობაში, მხურვალედ ეწაფებიან კავშირის საქმიანობასა და მისი ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას.

ასეთივე გულმოდგინებით ეკიდებიან სამხედრო საქმესაც. ყოველ-გვარი მეცადინეობა სისტემატიურად ტარდება. თავისუფალ საათებს წითელ-არმიელები ლენინის კუთხეებში და სამკითხველოში ატარებენ. თითქმის ყველა ამხანაგები ჩაწერილი არიან ლეგიონის სამკითხველოში. გამოაქვთ პოლიტიკური ხასიათის წიგნები და კითხულობენ ერთად, კოლექტიურად. ასეთ მეცადინეობას ძლიერ დიდი ნაყოფი მოაქვს. სულ ლეგიონში ირიცხება 50 ახკომკავშირელი. სათანადო მუშაობა სწარმოებს უპარტიო წითელ-არმიელთა მასებში. იზრდება მათ შორის პარტიაში ჩაწერის სურვილი.

სამურზაყანელი.



## წრეების მუშაობა მოისუსტებს.

მეხუთე ლეგიონის პირველ ათასეულში ძლიერ მოისუსტებს წრეების მუშაობა. ჯერ ერთი შემცირდა წრეების რიცხვი და შემდეგ რომლებიც არსებობენ სუსტად მუშაობენ.

ამ ჟამად მუშაობას განაგრძობენ შემდეგი წრეები: სასპორტო, აგრონომიული და ლენინიზმის შემსწავლელი. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს სამხედრო კომისარი ამხ. ცინცაძე.

როდესაც ხელშემშლელი პირობები არ არის მუშაობა ამ წრეში ნაყოფიერად მიდის.

რაც შეეხება სასპორტო და აგრონომიულ წრეებს ისინი ვერ სდგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე. წრის წევრები არ მოდიან თავის დროზე. არც ხელმძღვანელები ეკიდებიან გულმოდგინეთ თავის საქმეს.

სხვა წრეები კი სრულიად არ არსებობენ.

საჭიროა პირველი მაისისათვის მაინც მზად იქნეს ათასეულში სცენა. დრამატიული წრე უნდა შესდგეს და ამ დღეს საჭირო მომზადებითაც უნდა შევხვდეთ.

საერთოდ კი წრეების მუშაობა მოითხოვს გამოცოცხლებას.

სამხკორი მ—სკი.

## მოგვეცით რუქები.

**მესამე ლეგიონი.**

მესამე ლეგიონში კარგა ხანია, რაც პოლიტსაათები ტარდება კომპლექსური მეთოდით. მიუხედავათ ამისა მეცადინეობა ჯერ კიდევ ვერა სდგას თავის სიმაღლეზე. საქმე იმაშია, რომ კომპლექსური მეთოდით მეცადინეობას სჭირდება რუქები.

ასეთები კი ჩვენს განკარგულებაში არ მოიპოება.

ძველი რუქები, რომლებიც გვაქვს ლეგიონში არ არიან გამოსადეგი. პოლიტხელებსა და არმიელებს არ შეუძლიათ გაერკვენ მათზე.

საჭიროა რუქები ევროპის, აზიის და საერთოდ ყველა სახელმწიფოების. ქუთაისში ასეთები არ მოიპოება. არცა გვაქვს ლეგიონში საჭირო თანხები, რომ შევიძინოთ ეს უკანასკნელები.

კარგი იქნება დივიზია ყურადღებას მოგვაქცევდეს და მოგვაწვდიდეს აღნიშნულ რუქებს.

სამხკორი მორიელი.

## წაგვიყვანეთ ექსკურსიაზე.

დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მე-5-თე ლეგიონის შემადგენლობა არ ვყოფილვართ ექსკურსიაზე. შემოდგომით ძალიან ხშირათ დავიარებოდით და კარგ შთაბეჭდილებასაც ახდენდა წითელ არმიელებზე. ქუთაისში არსებობს სხვა და სხვა დაწესებულებები: „წითელი ვარსკვლავის" სტამბა, ფაბრიკა ქარხნები და სხვა.

ძალიან კარგი იქნება მოგვაქცევდეს ყურადღებას უფ—შემადგენლობა და წაგვიყვანდენ ექსკურსიაზე. ხსენებულ ადგილებში. ეს კი ხელს შეუწყობს მუშებთან მეტ დაახლოებას.

ვ. მაღრაძე.

## მოგვეცით სანიტსაათი.

1-ლი ლეგიონის მე-7-ე ასეულში ორი კვირაა, რაც ექიმი არ შემოსულა და სანიტარული საათი არ ჩაუტარებია. ჩვენთვის კი სანიტსაათი აუცილებელია. წინად ჩვენთან სანიტსაათს ატარებდა ექიმის თანაშემწე, მაგრამ ამ ჟამად ის განთავისუფლებულია ავადმყოფობის გამო, ხოლო მის მაგივრად არავინ არ სჩანს.

მოგვეცით სანიტსაათი.

წ. ა. მაღლაფერიძე.

## სამხედრო პოლიტ-სკოლის გამოშვების აღსანიშნავი საზეიმო საღამო.

საღამოს 8 საათია. ცენტრალურ კლუბის დარბაზი სავსეა ხალხით, მეტი წილი წითელ-არმიელნია.

შიგა და შიგ ხალხში მოსჩანან ახალ კოხტა ტანთსაცმელში გამოწყობილნი სამხედრო პოლიტ-სკოლის კურს დამთავრებულნი. დღეს მათი ზეიმია.

იწყება საზეიმო სხდომა. სკოლის უფროსი ამხ. ნადირაძე თავის სიტყვაში აღნიშნავს მოკლედ სკოლის დაარსებას, მის მუშაობას ცუდ პირობებში, უსაღსრობას და დასძენს „ჩვენ გადავიტანეთ ყოველ-გვარი გაჭირვება და ვალი პირნათლად მოვიხადეთ".

სიტყვებს ამბობენ ამხ. ამხ. კვირიკაძე, მარქაროვი, ტიგიშვილი. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ახალი პოლიტხელნი ამხ. გვასალია და გიორგობიანი. ისინი ფიცს იძლევიან ქართულ ჯარის და მშრომელთა წინაშე, რომლებმაც ისინი აღზარდა, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ენერგიას, ცოდნას ისინი მოანდომებენ მშრომელთა კეთილდღეობას. დამსწრეთა შორის მათ სიტყვებმა გამოიწვია ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ სკოლის ძალების მიერ დაიდგა პატარა სურათი და გაიმართა კონცერტი.

თერთმეტ საათზე გათავდა საღამო. ქუჩაში ერთხელ კიდევ უსურვეს ახალ პოლიტხელებს გამარჯვება მომავალ მუშაობაში.

ე. ხუციშვილი

## სანიტ-საათი არტ-სკოლაში.

სანიტ—საათის მხრივ არტ—სკოლის კურსანტები გაყოფილია ორ ჯგუფათ. ერთ ჯგუფში სწავლობენ ძველი კურსანტები, მეორე ჯგუფში კი ახლები (ე. ი. თებერვლის რიცხვებში გადმოყვანილნი). სანიტ—საათის მხრივ, როგორც ერთ ჯგუფში ისე მეორე ჯგუფშიაც მეცადინეობა კვირაში თითოჯერ ხდება. კურსანტები დიდის ყურადღებით ეპყრობიან სანიტ—საათს. თითეული მათგანი ცდილობს, რომ შეისწავლოს ყოველივე ისე, როგორც გვიხსნის ამხ. ხელმძღვანელი ექიმი. ამხ. ექიმი უმთავრესათ ისეთ თემებზე ატარებს ბაასს, რაც უფრო საინტერესოა ახალგაზრდობისათვის.

მან უკვე ჩაატარა საუბრები ჭლექზე, მალარიაზე, სიფილისზე, რბილ შანკირზე, სუსუნატზე და სხვა. აგრეთვე გვესაუბრა ზოგიერთ გადამდებ სენზე. როგორც ექიმი, ისე კურსანტები დიდი კმაყოფილი არიან სანიტ—საათის მსვლელობით. თუ ჩვენმა ექიმმა ასეთ შერჩეულ თემებზე შემდეგშიაც ატარა ბაასი, სანიტ—საათები დასახულ მიზანს მიაღწევენ.

ახკორი ბ. ცაგარეიშვილი.

## ცხენოსან ლეგიონის წრეების მუშაობა.

ლეგიონში არსებობს შემდეგი წრეები: 1. პოლიტიკური, 2. ანტირელიგიური, 3. დრამატიული, 4. მომღერალთა, 5. სასპორტო, და 6. ლიტერატურული.

გარდა წრეებისა ჩვენთან ჩამოყალიბებულია პირველი და მეორე საფეხურის პარტ-კურსები.

**პოლიტიკური წრე.**

პოლიტიკურ წრის წევრებად ითვლებიან, როგორც პარტიული ისე უპარტიო წით. არმ. წრეში ითვლება სულ 45 კაცი. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ სისტემატიურად. შთაბეჭდილება საერთოდ კარგია, წრის წევრების რიცხვი თანდათან იზრდება.

**ანტირელიგიური წრე.**

ანტირელიგიურ წრესაც დაეტყო გამოცოცხლება, მხოლოდ უსინათლობის გამო თუთხმეტი დღეა, რაც მეცადინეობა არ ყოფილა.

საერთოდ მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ.

**დრამატიული წრე.**

დრამატიული წრე დღემდის ვერ—იქმნა დაყენებული სათანადო დონეზე. მას შემდეგ რაც ამხ. ქვანიამ იკისრა მისი ხელმძღვანელობა საქმეც კარგად მიდის. გვაქვს კავშირი საპონ-ზეთის ტრესტის მუშებთან, რომელთა წარმომადგენლები ყოველთვის ესწრებიან ჩვენთან გამართულ წარმოდგენებზე, სამაგიეროდ ჩვენც გვპატიჟებენ თავიანთ კლუბში გამართულ წარმოდგენებზე. ამ რიგად დრამწრე საკმაოდ ჩამოყალიბდა.

**მომღერალთა წრე.**

პირველ ხანებში წრეში მეცადინეობა კარგად სწარმოებდა, ამ ხანებში რაღაც მიყუჩდა საჭიროა გამოცოცხლება. რაც შეეხება სპორტწრესა და ლიტერატურულ წრეს მათ გამოფხიზლება სჭირიათ.

**I-ლი და II-რე საფეხურის პარტ-კურსები.**

I-ლ საფეხურის პარტ-კურსების მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. მსმენელების რიცხვი 25 კაცამდე აღწევს.

კეთდება მორიგეობით მოხსენებები და ამ რიგად საკმაოდ ფართე ასპარეზი აქვს პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეს. რაც შეეხება 2-რე საფეხურის პარტ-კურსებს, ესეც ყოველ კვირაში ერთხელ

## ვინ იქნება შემდეგი?

ჩვენ ტყიბულის მაღაროს მუშები ვიწერთ გაზეთ „წითელ—არმიელს“ ყოველ დღიურათ 24 ცალს და ჩვენის მხრივ ვიწვევთ ქვათურის მაღაროს მუშებს და ვიმედოვნებთ, რომ სხვა დანარჩენი მუშებიც გამოიწერენ გაზეთს „წითელ-არმიელს“.

ტყიბულის მაღაროს მუშების მონდობილობით:
**დ. მხეიძე.**

---

სწარმოებს.

ამ რიგად ქ. ც. ლეგიონში წრეების მუშაობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა არის ზოგიერთი დეფექტებიც, მაგრამ ვიმედოვნებთ მალე გამოსწორდება.

**დ. ზეფრაშვილი.**

## ჩვენი კედლის გაზეთები.

ამ დღეებში გამოვიდა მე-3-მე ლეგიონის პირველი და მეორე ასეულების კედლის გაზეთები.

უნდა ითქვას რომ ეს პირველი ცდაა ხსენებულ ლეგიონში. გაზეთებს მრავალი ნაკლი აქვს, მაგრამ როგორც პირველი ცდა, შეიძლება საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

პირველი ასეულის გაზეთი საშუალო ფორმატისაა. წერილების შინაარსის მხრივ გაზეთი დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ მოისუსტებს გაზეთის მხატვრული მხარე მომავალში საჭიროა გაზეთის ხელმძღვანელებმა ყურადღება მიაქციონ გაზეთის მხატვრული მხარის გაუმჯობესებას, მეთაურების მიზიდვას გაზეთის თანამშრომლობაში, გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებას და წერილების სათანადოთ დალაგებას.

გაორკეცებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა გაზეთი ერთის მხრივ გახდეს წითელ-არმიელების აღმზრდელი და მეორე მხრივ, მათი სულისკვეთების სწორი გამომხატველი.

მე-2-რე ასეულის გაზეთი გარეგნობით ლამაზია და მხატვრული მხარე და შინაარსიც დამაკმაყოფილებელია.

საერთოდ გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საჭიროა მუშაობის გაძლიერება, რათა მიზიდულ იქნას გაზეთის გამოცემის საქმეში წითელ-არმიელთა ფართე მასები და მეთაურები.

**პ. მიროტაძე.**

## ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოში.

— **ა. კ. სახკომსაბჭომ** დაამტკიცა ა. კ. უმაღ. ეკონ. საბჭოს შემდეგი შემადგენლობა: **თავმჯ.** ამხ. მამია ორახელაშვილი, მოადგილე—გუსეინოვი და ლუკაშინი, წევრებათ: ნაზარეტიანი, ს. ორჯონიკიძე ფ. მახარაძე, შ. ელიავა და სემგოვი.

— **ა. კ. მუშ. და გლ. ინსპექციის** კოლეგიის შემადგენლობა ა. კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა შემდეგი სახით: ამხ. ამხ. ხუმარიანი, კულიევ ჯალილ, პაველმანი, ეფენდიევი, ოსეპიანი, ლეჟავა, ლოლიძე და მელიქ.

— **ა. კ. ფინსახკომიის** კოლეგიაში დამტკიცებულ იქნაენ წევრებათ: **ამხ.** ამხ. გენკინი, ერქომაიშვილი, ლლონტი, ალიევ თეიმურ და პოლოსიანი.

— **ა. კ. შრომის** სახ. **კომ.** კოლეგიის წევრებათ დამტკიცებული იქნენ: ამხ. ამხ. იაშვილი, გოდაბრელიძე, მიქაძე, ოსეპიანი, კრილოვი და ხაჩიევი.

— **ა. კ. შინა ვაჭრობის** სახკომისარიატის კოლეგიის წევრებათ დამტკიცებულ იქნენ, გამყრელიძე, ბუკრიევი და პირგულიანი.

— **ა. კ. საგარეო ვაჭრობის** სახ. კომისარიატის წევრებათ დაამტკიცეს ამხ. ავაქოვი და შირვანსკი.

— **ა. კ. საგანგებო კომისიის** კოლეგიის წევრებათ ა. კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამხ. კვანტალიანი, ბაგიროვი, მელიქ ოსიპოვი სტანსკი, ისაკოვი და ქავთარაძე.

— **კომისიების მოადგილეებათ** დასამტკიცებლათ წარდგენილ იქნენ ა. კ. ცაკში შემდეგი ამხანაგები:

1. მ. და გლ. ინსპ. კომისრის მოადგილეთ **ამხ.** ხუმარიანი. 2. ფინსახკომის—გენკინი. 3. შრომის კომისარიატის—იაშვილი. 4. შინა ვაჭრობის—გამყრელიძე 5. საგანგებო კომისიის თავმჯ.—კვანტალიანი.

— **ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულათ** საქართველოში დამტკიცებულიქნა ამხ. თ. ლლონტი.

## ამბები სოფლებიდან.

**მევენახეობის აღდგენისათვის.** გორის აღმასკომმა გამოითხოვა მიწ.-მოქმედების სახ. კომისარიატისაგან 100 ათასი ცალი ნამყენი ვაზი დაზარალებულ ვენახების გასაშენებლათ.

**გლეხკომების ყრილობა სენაკში.** 23 აპრილს სენაკში გაიხსნება, სენაკის მაზრის გლეხკომთა ყრილობა.

**სახერხი ქარხანა ხაშურში.** გორის აღმასკომმა დაადგინა მისცეს ხაშურის სახერხ ქარხანას მრგვალი ხერხი და ასი ხე ბორჯომის ტყიდან.

**ბაღის გაშენება.** ქალ. ხაშურის სადგურის ახლო გადაწყვეტილია დარაბების აღება და იქ ბალის გაშენება.

**ხე-ტყის გაცემა გლეხებზე.** გორის აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. კავთისხევის გლეხების შუამდგომლობა და გასცა მათზე 100 ძირი ხე უფასოთ.

**სინათლის გაყვანა.** ხაშურის აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს ელექტრო სინათლე ქალაქს განაპირა ქუჩებში.

## ახალი ამბები.

— **გლეხკომების ყრილობა** 28 აპრილისათვის თფილისში მოწვეულია, თფ. სამაზრო გლეხკომების ყრილობა.

— **წითელ-არმიელები ექსკურსიაზე.** წარსული წლის 1-ლ დეკემბრიდან ა. წ. 1-ლ აპრილამდე საქ. ზოოლოგიური მუზეუმი დაუთვალიერებია 12.869 წითელ არმიელს და მოწაფეებს.

— **ზოოლოგიური მუზეუმი.** დღიდან გახსნისა დღემდე საქ. ზოოლოგიური მუზეუმი დაუთვალიერებია სულ 32.891 მოქალაქეს.

— **ჰაერის გაწმენდა.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა ყველა წარმოებებში, სადაც მუშაობენ მანქანები უნდა დაიდგას ჰაერის საწმენდი აპარატები.

— **მუშათა ბავშვებისათვის.** კოჯორში მოეწყო დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის დასასვენებელი სახლი.

— **სახალხო განათლების კომისარიატმა** დაადგინა, რომ ცხრა წლედებში, მეცხრე ჯგუფები დასტოვონ კიდევ ერთი წლით კურსის სათანადოთ შესათვისებლად.

— **საბინაო ამშენებლობისათვის** დახმარების მიზნით ამ დღეებში ტფილისში შეუდგებიან საბინაო მიზნობრივ გადასახადის აკრეფას.

— **გამცდარი დღეები.** გასული წლის განმავლობაში დამზღვევ სალაროს აუნაზღაურებია გამცდარი დღეები შრომის უნარ დაკარგულთათვის. სულ—418.758 დღე.

— **„შრომის მოამბე“.** შრომის სახ. კომისარიატმა გამოსცა „შრომის კანონმდებლობის მოამბე“ № 5.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** კომკავშირის წევრად ვარ 1921 წლიდან. პროფესიით მუშა და დღეს ვმსახურებ წითელ ჯარში. როგორც 23 წლის ვალდებული ვარ გადვირიცხო პარტიის კანდიდატათ. სარეკომენდაციო ანკეტები მზად მაქვს, მხოლოდ ავტობიოგრაფიის შემომწმებელი არვინ მყავს. გავგზავნე წერილი ჩვენს ორგანიზაციაში, მაგრამ პასუხი არ სჩანს. ამით კი ჩემი საქმე ბრკოლდება, გთხოვთ მიპასუხოთ როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში?

**წ. არ. მიხო ცქიფურიშვილი.**

**პასუხი.** იმ შემთხვევაში თუ თქვენი წერილი არ მიუდის ორგანიზაციას, გაგზავნეთ ბიურო-კოლექტივის საშუალებით ხელწერილის ქვეშ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „წითელ არმიელი“-ს № 85 მოთავსებული ამხ. რ.-თის შენიშვნა **დივიზიის** ცენტრალურ ბიბლიოთეკის შესახებ საჭიროებს ზოგიერთ შესწორებებს.

სამკითხველოში გაზ. „წითელ არმიელის“ უქონლობა არ შეეფერება სინამდვილეს. ბიბლიოთეკა ამ გაზეთს იღებს ყოველ დღიურად და ათავსებს მას ცალკე მაგიდაზე სხვა სამხედრო ჟურნალ-გაზეთებთან ერთად.

საჭიროა უკეთ დანახვა და უფრო ყურადღებით დათვალიერება.

შენიშვნის ავტორი ბიბლიოთეკის მასიურ მუშაობას ეხება, რაც ცხადჰყოფს, რომ ის არ იცნობს არსებულ დებულებას დივბიბლიოთეკის შესახებ, რომლითაც ცენტრალური ბიბლიოთეკა მხოლოდ მკითხველთა უმაღლეს კატეგორიას ემსახურება.

მადლობას ვუძღვნით შენიშვნის ავტორს, რომ მუშაობის დაყენებას წიგნების დამუშავების მხრივ იგი შედარებით დამაკმაყოფილებლად სცნობს. მაგრამ შევეკითხებით: ტფილისის გარნიზონის, ან ქალაქის რომელ ბიბლიოთეკაში ნახა მან წიგნის დამუშავების უკეთ დაყენება?

მართალია, მაგრამ გადაჭარბებულია შენიშვნა ბიბლიოთეკის მოწყობის სხვა და სხვა ნაკლებზე (შენიშვნაში აღნიშნულია წყალის უქონლობა და ჩამტვრეული მინა, საიდანაც წვიმის დროს წყალი მოდის). ამ ნაკლებს ჩვენ დაუმატებთ ბევრ სხვასაც. მაგ. საკატალოგო ყუთების, ლამფების აბაჟურების სიმცირე და სხვა.

ყველა ეს ნაკლები ბიბლიოთეკის მოწყობაში აიხსნება მით, რომ 22 წლის შემდეგ ბიბლიოთეკას არ მიუღია არავითარი თანხა მისი მოწყობის გასაუმჯობესებლად. მაშასადამე, მიზეზი აქ ჩამოთვლილ ნაკლების მოსასპობად საჭირო საშვალების უქონლობაშია.

**გ. კალინინა.**

## ყველა ავტონომიურ ოლქების ს. ფ. მ. ს. სამაზრო საინიციატივო ბიუროებს და ქ. ტფილისის 1. 2. 3 და 4 რაიონულ საბჭოებს.

### ძვირფასო ამხანაგებო.

თვითეულ ჩვენგანს კარგათ ესმის, თუ რა მიზანს ემსახურება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, იმპერიალისტურ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა გიგანტიური ზრდა, განსაკუთრებით სამხედრო ავიაციისა და იმ განსაკუთრებულ ადგილისა, რომელიც მას უკვე უჭირავს სამხედრო საქმეში, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მოქალაქეებმა უნდა მოექცენ ამ საზოგადოების დანიშნულებას სათანადო ყურადღებით. ამიტომ საჭიროა თვითეულმა შეგნებულმა მშრომელმა, ვისაც სურს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრის შენარჩუნება, გააძლიეროს და გააღრმავოს მუშაობა მშრომელ მასებში ჰაერის დაპყრობის მიზნით, ამისათვის, საჭიროა: მოსპობა თავისი საკუთარი ავიო უცოდინარობის, მასების გათვითცნობიერება, და მათი გაცნობა ავიო-ცოდნასთან.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილს, ჩვენ განვახორციელებთ მაშინ თუ ჩვენ გვეყოლება ამ საქმისადმი გამოყოფილი აქტივი, რომელიც უშუალოთ უხელმძღვანელებს მშრომელ მასას და შეასწავლის მათ ჰაერის საიდუმლოებას და მისი დაპყრობის მნიშვნელობას. მეორე ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი საკითხია, ყურადღების მიქცევა ჩვენ ფინანსიურ მხარეებზე. უნდა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს უმნიშვნელო კაპეიკები, ჩვენ მიერ გაღებული, ამ მნიშვნელოვანი და დიდი საქმისათვის. ჩვენ არ ვფარავთ მას რომ ევროპის სახელმწიფოები ჩვენზე მეტი მომზადებულნი და სამხედრო ტეხნიკით ბევრჯერ მეტი განვითარებულნი არიან.

საჭიროა ცოდნა იმ მომზადების, რომელიც ჩვენს მეზობლებს აქვს, მით უმეტეს თვითეულმა ჩვენგანმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენთვისაც აუცილებელია ძლიერი სამხედრო ტეხნიკა, რაც თავდები იქნება პროლეტარიატის კაპიტალზე გამარჯვების. ამას შევძლებთ ჩვენ ახლო ხანაში ისეთივე ენერგიული მუშაობით, როგორიცა გვაქვს დღეს ჩვენმა საზოგადოებამ შესძლო დაემზადებია 90 სამხედრო თვით-მფრინავები, 36 სააგიტაციო-საპროპაგანდო მანქანები, დავაარსეთ 10 ავიოკლუბი, 650 ავიოკუთხე, ლენინგრადში ამ ახლო ხანში გავხსენით აერო-მუზეიკლუბი, გვაქვს თავისი საკუთარი საბჭოთა მოტორები (ძრავა) რომელსაც ჩვენი საბჭოთა მოტორთა მშენებელი ქარხანა ამზადებს, ჩვენ გვყავს ჩვენი ფრენოსნების საკმაო რიცხვი.

ს. ფ. მ. ს. აქვს თავისი გამომცემლობა, რომელმაც გამოუშვა იანვრის პირველ რიცხვამდი 1925 წ. 1.500. 000. სხვა და სხვა წიგნაკი და ბროშურები.

საზოგადოება უშვებს თავის სამეცნიერო პოპულიარულ ჟურნალს თვით-მფრინავს, რომელიც გამოდის 45.000 ტირაჟით. უკვე გამოსულია 16 ნომერი—400.000 ცალი, საზოგადოება შეფია ყველა ჩვენი საჰაერო რაზმების, რომელსაც საზოგადოება უწევს ნივთიერ და ფინანსიურ დახმარებას ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი დახმარება ჩვენი საჰაერო ნაწილებზე უდრის რამოდენიმე ასეულ ათას მანეთს. მთელს ჩვენს მუშურ გლეხურ რუქაზე ამ ჟამად არის 20 ათასი უჯრედი, ამათში წევრი 1,800,000 აღემატება, არის იმედი რომ გავამართლებთ დაპირებას, და 14 ივლისისათვის გვეყოლება სამი მილიონი წევრი. ათი-ათასობით ახალგაზრდობა, როგორც ვაჟები, ისე ქალები, არიან ჩაბმული მოდელურ და პლონერულ წრეებში. ბევრჯერ გავმართეთ პლონერული და მოდელურთა შეჯიბრებები, თბილისის მოდელის წრეებმა დაამარცხა მთელი ფედერაციის მოდელური წრეები, და ასევე სძლია იტალიის რეკორდი მოდელური შეჯიბრების 160 მეტრით წინააღმდეგ 126 მეტრისა. ყველა ეს ცნობები, რომელიც ზემოდ არის მოყვანილი რამოდენიმე თვის წინ გვქონდა, ეხლა კი, გაცილებით უკეთეს პირობებში ვართ და მეტი მიღწევები აქვს ჩვენს საზოგადოება.

ზემოდ მოყვანილი ციფრები მაჩვენებელია მთლიანად ჩვენი ფედერაციის ს. ფ. მ. ს. მუშაობის. არც საქართველო ჩამორჩენილა ამ მუშაობაში სხვა მეზობელ სოციალისტურ რესპუბლიკებს და ბევრ რაიმეშიც პირველობაც მიიღო. მართალია, ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი საბოლოო უზრუნველყოფისთვის საჭიროა კიდევ მეტის გაკეთება. ეს კი ჩვენზე არის დამოკიდებული ძვირფასო ამხანაგებო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ, თუ ჩვენ შევძლებთ მუშაობის გაღრმავებას მასებში როგორც დღეს მიდისჩვენი შემოქმედება, არ არის შორს ის დღე როდესაც ჩვენ დავეწევით და გავასწრებთ კიდევ ბევრ—მტაცებლურ სახელმწიფოებს, და როდესაც ჩვენ დავიპყრობთ ჰაერს, დაპყრობილი იქნება დედამიწაც.

საქართველოს ს. ფ. მ. ს. პრეზიდიუმის წევრი.
**ბარამიძე.**

---

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.